საეკლესიო ჟურნალისტიკის ისტორიული წანამძღვრები საქართველოში

ელისაბედ აბულაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

DOI: https://doi.org/10.52340/gbsab.2025.54.15

საკვანძო სიტყვები: მედიასტრატეგია, სასულიერო პრესა, ქრისტიანული ჟურნალისტიკა, საეკლესიო მედიასაშუალებები.

საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული დოკუმენტების, მართლმადიდებლურ ჟურნალისტიკასთან დაკავშირებული ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების და სტატიების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართული მართლმადიდებლური ჟურნალისტიკა სათავეს XIX საუკუნიდან იღებს. სხვადასხვა პერიოდული გამოცემები ჩვენს ქვეყანაში სწორედ ამ დროიდან ჩნდება და საკმაო მრავალფეროვნებითაც ხასიათდება.

„სასულიერო მახარობელი“ (1864-1868) იყო პირველი სასულიერო შინაარსის პერიოდული გამოცემა ქართულ ენაზე. იგი გამოდიოდა წმინდა სინოდის კურთხევით. ეს ჟურნალი დაარსდა ისეთ დროს, როდესაც მხოლოდ საერო ჟურნალ–გაზეთები გამოდიოდა და მათი ერთი ნაწილი სათაკილოდაც კი მიიჩნევდა სასულიერო თემებზე წერას.

1908-1916 წლებში ქუთაისში გამოდიოდა გაზეთი ”შინაური საქმეები”. კარგად არის ცნობილი, რომ გაზეთის გამოცემა დიდ ძალისხმევას ითხოვს, უპირველეს ყოვლისა, თავისი ოპერატიულობის გამო. გაზეთის ქვესათაური ,,სარწმუნოებრივ-ზნეობრივი გაზეთი,“ თავისთავად, იმას ნიშნავს, რომ მან მაღალი მისიონერული მიზანი დაისახა - ქრისტიანული სწავლებისა და ზნეობის ქადაგება და გავრცელება.

ცნობილია, რომ ,,შინაური საქმეები“ მრავალი ღირსებით გამორჩეული გაზეთი იყო. პირველ რიგში, აღსანიშნავია მისი მკაფიოდ გამოხატული ეროვნული პოზიცია.

ქუთაისში გამოცემული ამ ეროვნული და სარწმუნოებრივი იდეალებისათვის მებრძოლი გაზეთის რედაქტორი იყო სვიმონ მჭედლიძე, გამომცემელი-იოსებ ლეჟავა.

სვიმონ მჭედლიძე დეკანოზის შვილი იყო და ქუთაისისა და სტავროპოლის სასულიერო სასწავლებლები ჰქონდა დამთავრებული. იგი კომუნისტური რეჟიმის დროს დახვრიტეს მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავასა და მის სამღვდელო დასთან ერთად. იგი 1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა.

1908-14 წლებში მამა სვიმონი გამოსცემდა ,,სარწმუნოებრივ-ზნეობრივ საზოგადოებრივ“ ყოველკვირეულ გაზეთსაც, რომელმაც მალე 16 ფურცლიანი ჟურნალის სახე მიიღო. მას მხარში ედგნენ გელათის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე და სხვები.

,,შინაური საქმეები“ მოურიდებლად ამხელდა დიდსა თუ პატარას, საეროს თუ სამღვდელოს და ემსახურებოდა მხოლოდ სიმართლეს, ჭეშმარიტებას. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ ,, შინაური საქმეების“ რედაქტორი რეჟიმის მსხვერპლი გახდა, რისთვისაც ის ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

1913 წელს ქუთაისში გამოვიდა 274–გვერდიანი ყოველთვიური ჟურნალი ,,განთიადი“, რომლის მხოლოდ ორი ნომერია შემორჩენილი. იგი წარმოადგენდა

საღვთისმეტყველო, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და ლიტერატურულ ჟურნალს. მისი რედაქტორი იყო სიმონ მჭედლიძე. ჟურნალი თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მას ჰქონდა რამდენიმე განყოფილება: 1. ღვთისმეტყველება და ფილოსოფია; 2. არქეოლოგია და ისტორია; 3. ბელეტრისტიკა და პოეზია; 4. სოფლის მეურნეობა და აგრონომია; 5. პოლიტიკა და ეკონომიკა; 6. საშინაო და საგარეო მიმოხილვა; 7. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია" (ჟურნალი ,,განთიადი", 1913, გვ54-103).

ოფიციალური საეკლესიო ჟურნალი, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ გამოვიდა, ჟურნალი ,,სვეტიცხოველი" იყო. მისი რედაქტორი იყო პავლე ინგოროყვა. ეს საინფორმაციო–ანალიტიკური ხასიათის ჟურნალი ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. ჟურნალის პირველ, ოფიციალურ განყოფილებაში იბეჭდებოდა პირველი საეკლესიო კრების მოსამზადებელი კომისიის სხდომის ოქმები, საეკლესიო კრებების, ბერმონაზონთა კრებების დადგენილებები, ,,საკათალიკოსო საბჭოს" ჟურნალიდან ამონაწერები, რეზოლუციები, პეტერბურგში გაგზავნილი დელეგაციის მუშაობის ანგარიში. ,,იგი აცნობდა საზოგადოებას საეკლესიო კრების დღის წესრიგს, ჩატარების ვადებს, საეკლესიო კრების დელეგატების არჩევის წესს" (ჟურნალი ,,სვეტიცხოველი", 1917). მოწინავე სტატიები ეძღვნებოდა ქვეყნისა და ეკლესიის იმდროინდელ საჭირბოროტო საკითხებს (მაგალითად, ,,პოლიტიკური ვითარება და საქართველოს ეკლესია", 1917 წლის 3 ენკენისთვე).

არაოფიციალური განყოფილება დიდ ადგილს უთმობდა ანალიტიკას. პირველ რიგში, ჟურნალი ამხელდა რუსეთის წმინდა სინოდის უსამართლობას ქართული ეკლესიის მიმართ. ასეთი იყო დეკანოზ ნ. თალაკვაძისა და ინგილოს ფსევდონიმით ხელმოწერილი სტატიები.

ამგანყოფილებაშიიბეჭდებოდაკათოლიკოს–პატრიარქისსიტყვები,წარმოთქმული სხვადასხვა დროს. რუბრიკა „ქრონიკა" აქვეყნებდა მოკლე ინფორმაციულ შენიშვნებს (მაგალითად, განქორწინების ახალი წესები, პატრიარქის ავადმყოფობა, ანარქია სოფლად და სხვა).

სარედაქციო კოლეგიის რამდენიმე წევრი მოითხოვდა, ,,სვეტიცხოველი" ქცეულიყო საპატრიარქოს ოპოზიციურ ორგანოდ, რასაც დანარჩენები არ დაეთანხმნენ. ამ უთანხმოების შედეგად ჟურნალი გაუქმდა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასა და დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან არის დაკავშირებული ჟურნალ ,,ახალი სიტყვის" გამოსვლა, რომლის რედაქტორიც იყო დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი. ჟურნალი გამოვიდა 1918 წლის 25 თებერვალს (ზოგი მკვლევრის აზრით, 6 მარტს) და იგი 1906 წელს გამომავალი გაზეთ ,,სიტყვის" იდეურ მემკვიდრედ თვლიდა თავს. ის იყო ორკვირეული გამოცემა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ეკლესიის განახლებას.

მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული ვიდრე საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორის აღსაყდრებამდე, ტოტალიტარული რეჟიმის წნეხის ქვეშ მყოფი ეკლესია არათუ ჟურნალ-გაზეთების გამოცემას, საღვთისმეტყველო წიგნებისა და ლოცვანის ბეჭდვასაც ძალიან შეზღუდულად ახერხებდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღსაყდრებისთანავე დაიწყო ზრუნვა მართლმადიდებლურ ჟურნალისტიკაზე, როგორც ღვთის სიტყვის მრევლამდე და მოსახლეობის ფართო ფენებამდე მიტანის ეფექტურ საშუალებაზე.

ქართული მართლმადიდებლური ჟურნალისტიკის ხელახლა დაბადება სწორედ პატრიარქ ილია მეორის სახელს და მისი მოღვაწეობის დასაწყისს უკავშირდება.

თანამედროვე ქართული მართლმადიდებლური ჟურნალისტიკის დაბადების დროდ უნდა ჩაითვალოს ათას ცხრაას სამოცდათვრამეტი წელი, რადგან სწორედ ამ დროს დაარსდა პირველი ქართული მართლმადიდებლური ჟურნალი "ჯვარი ვაზისა".

ჟურნალი ,,ჯვარი ვაზისა" საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის პირველი ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოა. სწორედ ამით არის ის გამორჩეული. იგი

განსაკუთრებულ ვითარებაში დაარსდა (1978) - იმ გააფთრებული იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში, რომელსაც ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმის დროს აწარმოებდა ხელისუფლება.

რედაქციის შემადგენლობა თავიდან ასეთი იყო: რედაქტორი თინა კობალაძე, საგამომცემლო საქმის თავმჯდომარე მეუფე ზოსიმე შიოშვილი, პასუხისმგებელი მდივანი ზურაბ თორია. 80-იანი წლების მიწურულს რედაქციის შემადგენლობამ ცვლილება განიცადა. 1989 წლის მესამე ნომერი უკვე დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა გამოსცა, 1990-91 წლებშიც ის გვევლინება რედაქტორად, 1992 წლიდან ჟურნალის რედაქტორი გახდა მღვდელი ლავრენტი ბუზიაშვილი, რომელმაც მალე საგამომცემლო საქმის თავმჯდომარეობაც შეითავსა. იცვლებოდნენ რედაქტორები, პასუხისმგებელი მდივნები, რედაქციასთან ყოველთვის თანამშრომლობდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. სარედაქციო კოლეგიაში სხვადასხვა დროს იყვნენ: ელენე მაჭავარიანი, ზაზა ალექსიძე, ზაზა სხირტლაძე, გივი ღამბაშიძე, დამანა მელიქიშვილი, ანდრია აფაქიძე, ედიშერ ჭელიძე და სხვები. მათი თანადგომით შეძლო ჟურნალმა არსებობის შენარჩუნება მძიმე წლებში, რომელიც მას არცთუ ისე იშვიათად ჰქონდა.

რედაქციასთან მეცნიერთა თანამშრომლობა ზოგჯერ კონსპირაციული იყო. ისინი ფსევდონიმებს ირჩევდნენ. მართალია ზოგი ღიად თანამშრომლობდა, ზოგი ფარულად, მაგრამ ყველანი ერთნაირი გულმოდგინებით ემსახურებოდნენ საეკლესიო პრესას.

რედაქციასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ სასულიერო აკადემიის პედაგოგები, პროფესორ-მასწავლებლები და სასულიერო პირები, ძირითადად, ეპისკოპოსები. ისინი უძღვებოდნენ საღვთისმეტყველო რუბრიკებს.

1990 წელს შესაძლებელი გახდა გაზეთის გამოცემაც, რომელსაც თვით უწმინდესმა პატრიარქმა ილია მეორემ შეურჩია სათაური - ,,მადლი".

გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1990 წლის 15 აპრილს.

პირველ ნომერში დაიბეჭდა შვიდგზის ლოცვები, რომლებიც მრევლში აქამდე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, რადგან ახალი შემოღებული იყო პატრიარქის მიერ და ჯერ არ იყო გამოქვეყნებული. ეს იყო საინტერესო სიახლე და მნიშვნელოვანი მოვლენა, თუ გავითვალისწინებთ შვიდგზის ლოცვის უდიდეს მადლს. ამავე ნომერში გამოქვეყნდა სააღდგომო ეპისტოლე და დაიბეჭდა მეცნიერთა სტატიები.

გაზეთის უცვლელი რედაქტორი იყო გვანცა კოპლატაძე, ხოლო მისი ასევე უცვლელი მოადგილე გრიგოლ რუხაძე. რედაქციასთან თანამშრომლობდნენ ცნობილი მეცნიერები: ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, მწერლები, მხატვრები და ჩვენი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

1997 წელს საპატრიარქოში შეიქმნა საღვთისმეტყველო კომისია, რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ, სხვა საკითხებთან ერთად, დაევალა საპატრიარქოს რადიოს შექმნა. პატრიარქს მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო ახალი ტექნოლოგიების საქართველოს ეკლესიის მისიონერული საქმიანობისათვის გამოყენება. ამასთან ერთად, დაისვა ტელევიზიის შექმნის საკითხიც. იმ პერიოდში ინტერნეტიც სიახლე იყო და საქართველოს საპატრიარქოს არც ვებგვერდი ჰქონდა. ვებგვერდი მალევე შეიქმნა, ვინაიდან მას დიდი რესურსი არ სჭირდებოდა. რაც შეეხება რადიოს საკითხს, ეს მეტ მუშაობს, შესაბამის ტექნიკურ რესურსს და, ასევე, იურიდიულ ნებართვას მოითხოვდა.

1998 წლიდან დაიწყო აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით და საქართველოს საპატრიარქოს თანამშრომელს, გიორგი ანდრიაძეს, პროფესიით ფიზიკოსს დაევალა რადიოსთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების მოგვარება. გიორგი ანდრიაძის ძალისხმევით, მალევე თბილისის სახელმწიფო ანძაზე დამონტაჟდა გადამცემი.

1999 წლის დასაწყისში საცდელი მაუწყებლობით ეთერში გავიდა რადიო ,,ივერია", თუმცა მას არ ჰქონდა სტუდიური მოწყობილობა და არც შენობა. მალევე

საპატარიარქოს სარდაფს ჩაუტარდა რემონტი, აღიჭურვა საჭირო ტექნიკური რესურსით და სწორედ აქ განთავსდა რადიოც. დაფინანსება იყო მწირი და მხოლოდ პატრიარქის პირად შემოწირულებას წარმოადგენდა.

ახლადშექმნილი რადიოს მართვას სათავეში მისივე დამფუძნებელი გიორგი ანდრიაძე ჩაუდგა. აღსანიშნავია, რომ თავად პატრიარქი აქტიურად მონაწილეობდა რადიოს მართვაში. შეიძლება, ითქვას, რომ მასთან ერთად იქმნებოდა რადიოს ინფრასტრუქტურა და დგებოდა რადიოს პროგრამა.

რადიო ,,ივერია" იყო მრავალპროფილიანი - საზოგადოებრივი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და რა თქმა უნდა რელიგიური ხასიათის მედიასაშუალება. მნიშვნელოვანი იყო სამაუწყებლო ბადეში არსებული კლასიკური მუსიკა, ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერები.

გამორჩეული ნიშისა და განსხვავებული მედიაპროდუქციის წყალობით, ,,ივერიამ" მალევე დაიმსახურა მსმენელთა სიყვარული და ნდობა.

პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა რამდენიმე მეტად რეიტინგული გადაცემა, მათ შორის, ,,საუბრები მართლმადიდებელ მოძღვართან", ,,ივერიელნი", ,,საუბარი ფსიქოლოგთან". ყველა ამ გადაცემაში მსმენელს საშუალება ჰქონდა პირდაპირ ეთერში დაერეკა, დაესვა შეკითხვა და მოესმინა პასუხისთვის. რაც ასევე იყო სიახლე იმ პერიოდში. რადიო ,,ივერია" ფაქტობრივად ოჯახებში შედიოდა და ხორციელდებოდა პატრიარქის ჩანაფიქრი, რომ მას ეტვირთა მისიონერული ფუნქცია. რადიო ივერიას უსმენდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც უსმენდნენ. პატიმრებისთვის იგი გახდა იმედისა და ნუგეშის წყარო.

რადიო ოფიციალურად ეთერში გავიდა 2000 წლის 15 იანვარს. თბილისის გარდა გადამცემი ანძები დამონტაჟდა რეგიონებშიც. ჯერ ქუთაისში, შემდეგ ზუგდიდში, ბათუმში სვანეთში, ზემო აჭარაში, ყაზბეგში და ასე მოიცვა მთელი საქართველო.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გადამცემიი ანძის კახეთის რეგიონში დამონტაჟებას, ვინაიდან ისტორიულ ჰერეთში (ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორია) მცხოვრებ ქართველებს ჰქონოდათ მისი მოსმენის საშუალება.

2003 წლიდან გიორგი ანდრიაძის თაოსნობით ლაზური რადიო ,,კოლხა" შეიქმნა, რომლის გადაცემებიც გადიოდა რადიო ,,ივერიის" ეთერში ღამის საათებში, ეს იყო საგანგებოდ თურქეთში მცხოვრები ლაზებისთვის. ეს იყო მსოფლიოში პირველი რადიო ლაზურ ენაზე.

ტელევიზიის საკითხი, როგორც ითქვა, რადიოს შექმნისთანავე დადგა. თუმცა ტელევიზიას სჭირდებოდა უზარმაზარი რესურსი და, ამასთანავე, რაც ყველაზე მთავარია, სჭირდებოდა სიხშირე, რომელიც იმხანად შეზღუდული იყო.

მოგვიანებით, რადიოს დამფუძნებელმა გიორგი ანდრიაძემ შეიტყო ინფორმაცია, რომ არსებობდა ტელეკომპანია ,,ევრიკა", რომელიც თავის სიხშირეს აქირავებდა. გაჩნდა საშუალება, რომ, თუ მოიძებნებოდა შესაბამისი ფინანსები, დაფუძნებულიყო საპატრიარქოს ტელევიზია. ცხადია, მხოლოდ სიხშირე არ იყო ამ დროისათვის საკმარისი, საჭირო იყო ოფისი და შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფა.

გიორგი ანდრიაძე იმხანად იყო პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს წევრი. ფონდის ოფისის მეორე და მესამე სართული იყო თავისუფალი და გასარემონტებელი. ეს ოფისი დროებით სარგებლობაში გადაეცა საპატრიარქოს ტელევიზიას, რომელიც რამდენიმე ბიზნესმენის შემოწირულებით გარემონტდა. შემდგომ თავად პატრიარქმა გამოყო თანხა სიხშირის დაქირავებისათვის და საპატრიარქოს ტელევიზია უკვე 2006 წელს საცდელი გადაცემებით პირდაპირ ეთერში გავიდა.

პირველ ხანებში ტელევიზიით გადაიცემოდა მხოლოდ გამოსახულება, იყო წარწერა, რომ მზადდება ახალი მაუწყებლობა ,,ივერია" და პირველი ექვსი თვის განმავლობაში გადაიცემოდა რადიო ,,ივერიის" გადაცემები.

შემდგომი ეტაპი იყო ტელევიზიის პროგრამის აწყობა. ამ შემთხვევაში ტელევიზიამ გაიმეორა რადიოში უკვე არსებული გადაცემები. ტელევიზიაში

გადავიდა საპატრიარქოს რადიოს ყველა ძირითადი გადაცემა. ამას დაემატა ქართული მხატვრული ფილმები, რომელიც ყოველ დღე გადიოდა და, ამ მხრივ, საპატრიარქოს ტელევიზია ,,ივერია“ იყო ნამდვილად გამორჩეული და მალევე მიიზიდა მაყურებლის ყურადღება. იყო საინფორმაციო გამოშვებაც, რომელიც საკმაოდ მწვავე საზოგადოებრივ პრობლემებს აშუქებდა იმ პერიოდში, როდესაც ოპოზიციური ტელევიზია თითქმის არ არსებობდა. არაპარტიული, მაგრამ კრიტიკული გადაცემებიც იყო ერთგვარი ნიშა, რომელიც ივერიას სხვა ტელეკომპანიებისაგან გამოარჩევდა. ცხადია, წამყვანი ადგილი ტელემაუწყებლის ბადეში რელიგიურ გადაცემებს ეკავა.

ახლადშექმნილმა ტელეკომპანიამ 2007 მოამზადა გადაცემა ახალგაზრდებისათვის სახელწოდებით ,,48 საათი“, სადაც ექსტრემალურ პრობლემებში თინეიჯერები უპირისპირდებოდნენ ხელოვნურ ინტელექტს. ესეც იყო სიახლე ტელესივრცეში.

ასევე, საპატრიარქოს რადიოს მსგავსად, ტელევიზიაშიც შეიქმნა ლაზური ინტერნეტ ტელევიზია, რომლისთვისაც საგანგებოდ ითარგმნა ქართული მხატვრული ფილმები ლაზურად, შეიქმნჩენი ა სიმღერები და ვიდეოკლიპები.

ტელევიზიას იმხანად ჰქონდა სულ სამი კამერა და რამდენიმე სამონტაჟო, ფინანსდებოდა საპატრიარქოს მიერ მცირე ფინანსური რესურსით.

ასეთი იყო საპატრიარქოს ტელემაუწყებლობის პირველი ნაბიჯები, რომელსაც შემდგომში სახელწოდება და, გარკვეულწილად, შინაარსი და ფორმაც შეეცვალა და 2008 წლის 23 ნოემბრიდან უკვე როგორც საპატრიარქოს ტელევიზია ,,ერთსულოვნებამ“ გააგრძალა ფუნქციონირება.

დასკვნა

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში ქრისტიანული ჟურნალისტიკის, როგორც ცალკე მიმართულების, ჩამოყალიბების წინაპირობები და ისტორია ეროვნული ცხოვრების განვითარების გზაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. გამოიკვეთა, რომ სასულიერო მედია, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში, დიდწილად განსაზღვრავდა ერის თვითმყოფადობას, და ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. ასევე, აღნიშნული ტიპის მედიასაშუალებებს ისტორიულად დაეკისრათ საგანმანათლებლო და შემეცნებითი ფუნქცია.

საპატრიარქოს რადიოსა და ტელევიზიის შექმნის წინაპირობების კვლევამ გამოკვეთა, რომ ეროვნული და ქრისტიანული ფასეულობების ერთობლიობაზე დაფუძნებული ამ მედიასაშუალების არსებობის პირველი წლები საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პალიტრა ელი (2016) პატრიარქის ეპისტოლეები, , ,,სამაგიდო წიგნების უნივერსალური ათეული“, მე-11 ტომი, თბილისი.

2. აბრამიშვილი, ნ. (2012). ,,მართლმადიდებლური მედიის ტიპოლოგიური დიფერენცირება». თბილისი: ,,თბილისი».

3. ნ.აბრამიშვილი. (2008). ,,რადიო ,,ივერია» -ახალი მაუწყებლობა საქართველოს მედიასივრცეში» (Vol. ჟურნალისტური ძიებანი). თბილისი: ,,უნივერსალი».

4. მიტრ. ანანია ჯაფარიძე. (2009). ,,საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია». გამომცემლობა ,,ალილო». (XVIII თავი, 1155-1165).

ჟურნალი ,,განთიადი”, 1913, გვ54-103

ჟურნალი ,,სვეტიცხოველი”, 1917 წელი

გაზეთი ,,შინაური საქმეები", 1907 წელი
ჟურნალი ,,ჯვარი ვაზისა", 1978 წელი
საქართველს საპატრიარქოს https://patriarchate.ge
მართლმადიდებლობა - https://orthodoxy.ge
ჟურნალი ,,კარიბჭე" https://karibche.ambebi.ge
თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ვებგვერდი - https://www.tsas.ge

რეზიუმე

საქართველოში მართლმადიდებლური ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპები თითქმის შეუსწავლელია. წინამდებარე სტატია არის მცდელობა, რომ შევავსოთ არსებული ხარვეზი, გამოვიკვლიოთ სასულიერო ჟურნალ-გაზეთების, საქართველოს საპატრიარქოს რადიო ,,ივერიის", ტელეკომპანია ,,ივერიის" და შემდგომში უკვე საპატრიარქოს ტელევიზია ,,ერთსულოვნების" დაარსების ისტორიული წანამძღვრები და განვითარების ეტაპები.

შევეცადეთ სიღრმისეულად წარმოგვეჩინა შედარებით მნიშვნელოვანი გამოცემები, რომლებმაც გარდამტეხი როლი ითამაშეს არა მხოლოდ ქართული მართლმადიდებლური ჟურნალისტიკის განვითარების, არამედ ეროვნულ-სარწმუნოებრივი მდგრადობის თვალსაზრისითაც.

შედეგად აღმოჩნდა, რომ ეროვნული და ქრისტიანული ფასეულობების ერთობლიობაზე დაფუძნებული ამ მედიასაშუალების არსებობის პირველი წლები საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული იყო.

HISTORY OF ORTHODOX JOURNALISM IN GEORGIA

Elizabeth Abuladze
Ph. D. Student of Mass Communication Doctoral Educational Program
Caucasus International University

Abstract

The stages of development of Orthodox journalism in Georgia are almost unstudied. This article is an attempt to fill the existing gap, to explore the historical precedents and stages of development of the establishment of religious magazines and newspapers, the Georgian Patriarchate Radio "Iveria", the TV company "Iveria", and later the Patriarchate TV station "Ertsulovnebi".

We tried to present in depth relatively important publications that played a turning point not only in the development of Georgian Orthodox journalism, but also in terms of national-religious stability.

Keywords: Media strategy, religious press, Christian journalism.